სრული რევანში

თბილისის ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 29 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “კარდიფ სიტი” (უელსი) 3:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩიკაშვილი, ებრალიძე, გ.მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი (წერეთელი), ყიფიანი, კოპალეიშვილი.

“კარდიფ სიტი”: ირვინი, პეტარდი, ჩარლზი, ეტლი, დუაიტერი, ლამური, ბრიუკენენი, ლივერმური, ევანსი, ოლსტონი (სეიერი), შაუერსი (ანდერსონი).

მსაჯი ე. შპიგლი (ავსტრია)

გაფრთხილებული არიან ბრიუკენენი, ლივერმური.

სიტუაცია, რომელიც შექმნილი იყო ამ მატჩის წინ, ტიპიურია ევროპული საკლუბო ტურნირებისთვის. აქაური გათამაშების 2-მატჩიან ფორმულას თავისი კანონები აქვს, ქულებს პარალელურად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ბურთებს, კერძოდ, მეტოქის მინდორზე გატანილ გოლს, კონკრეტულად თბილისის დინამოელებს კარდიფში მინიმალური ანგარიშით წაგებული თამაშის მერე შინ უნდა გაემარჯვათ აუცილებლად 2 ბურთის სხვაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი ითიშებოდა გათამაშებიდან, ან უკეთეს შემთხვევაში (რევანში ანგარიშით 1:0) საქმე მიდგებოდა დამატებით პენალტებზე. ეს გარემოება დინამოელთა წინაშე გადაუდებელ ალტერნატივას სახავდა შემტევი ტაქტიკის ამორჩევის აუცილებლობის თაობაზე. საჭირო იყო გამარჯვების მოპოვება სოლიდური სხვაობით, მაგრამ შემტევი ტაქტიკა ამავედროს საიმედო დაცვას უნდა დაფუძნებოდა, ვინაიდან თუნდაც ერთი გაშვებული გოლი, დამატებით სიძნელეებს ქმნიდა, რომელთა დაძლევა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა.

გაართვეს თუ არა თბილისელმა ფეხბურთელებმა თავი ამ რთულ ამოცანას, რომელიც მათს წინაშე იყო წამოჭრილი? რა თქმა უნდა, გაართვეს. ანგარიში 3:0 თავისით არ მოსულა. გუნდმა ძალების სრული დაძაბვით იბრძოლა, თამაშის დიდი ნაწილი მეტოქის ნახევარზე გაატარა, იერიშები არ შეუწყვეტია თითქმის არც ერთ პერიოდში, მაგრამ უელსელთა კონტრშეტევების დროს დაცვის ხაზი სრული შემადგენლობით და მეკარეც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. შეცდომას ადგილი არა ჰქონია. თუ ერთ-ორ მომენტს არ მივიღებთ მხედველობაში, სტუმრების მხრივ წამოჭრილი საფრთხე ჩვენი გუნდის საჯარიმო მოედნამდე იყო ხოლმე ლიკვიდირებული.

დაცვის ამ საიმედო მოქმედებამ წინა ხაზის მოთამაშეებს საშუალება შეუქმნა შეტევა ეწარმოებინათ თამამად, გაშლილად, თითქმის შეუწყვეტლივ და თუ რამე შეიძლება მათ დავაყვედროთ, მხოლოდ ის, რომ უამრავი საგოლე მომენტი არ იქნა გამოყენებული. გაიხსენეთ, რამდენი შესაძლებლობა ჰქონდათ გუცაევს, ყიფიანს, ჩელებაძეს, ორივე მაჩაიძეს, ებრალიძეს, რომლებიც ფუჭად დაიკარგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ 3 გოლის გარდა, რომლებიც “კარდიფ სიტის” კარში იქნა გატანილი, ბურთი კიდევ სამჯერ მოხვდა ბადეს გარედან, მართალია, ყველა მომენტს ვერ გამოიყენებ, ფეხბურთში ეს არ ხდება, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ნაღდი შესაძლებლობანი სისტემატურად დატოვო რეალიზაციის გარეშე.

მე სავსებით ვეთანხმები “დინამოს” უფროს მწვრთნელს ნ. ახალკაცს იმის თაობაზე, რომ “კარდიფ სიტი” მძიმე, მოძველებული სტილის გუნდია, მაგრამ ვეთანხმები იმაშიც, რომ იგი გამოცდილია საერთაშორისო შეხვედრებში, რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელი ჰყავს და ამ მატჩში საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზება, სრული მონდომებით თამაში წარმატების მისაღწევად. “კარდიფი” რომ თავის ლიგაში მარცხიანად გამოდის, ბევრს არაფერს ნიშნავს. ევროპულ ტურნირში მას სულ სხვა საზომით უნდა მივუდგეთ. მაგალითისთვის თუნდაც იმას მოვიყვან, რომ მიუნჰენის “მაიერნი” წარუმატებლად გამოდის გფრ-ს ბოლო ჩემპიონატებში, ევროპის ჩემპიონთა თასს კი ხელიდან არ უშვებს.

უელსელთა მოძველებულ ტაქტიკაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მათ პერსონალურ დარაჯად მიუჩინეს გუცაევს _ ჩარლზი, მერე კი, როცა მან ვერაფერი გააწყო ჩვენს ფორვარდთან, პეტარდიც აქეთ გადმოიყვანეს. ამ დროს კი ყიფიანს, მ.მაჩაიძეს, ჩელებაძეს და სხვებს უფრო მეტი გასაქანი მიეცათ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. კოლექტიური, ზონური დაცვის პრინციპები უელსელთა გუნდში დარღვეული იყო, რასაც კიდევ 3-3 გოლი მოჰყვებიდა დინამოელებს გადამწყვეტი დარტყმები მეტი სიზუსტით რომ შეესრულებინათ. გარდა ამისა, სტუმრები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ თავს, შუა მინდვრის მოთამაშეები უკან ჰყავდათ დაწეული, მათი წინა ხაზი კი (ევანსი, ოლსტონი, შაუერსი) იზოლირებული და მხარდაჭერას მოკლებული აღმოჩნდა.

სუსტი ადგილი თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ამ დღეს არ ყოფილა. ქებას ყველა იმსახურებს, მაგრამ ირგანიზატორული თვისებებით, დაუშრეტელი ენერგიით და დახვეწილი ტექნიკით მაინც გამოირჩეოდა მ. მაჩაიძე, რომელმაც დამსახურებულად მიიღო საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

ანგარიში 23-ე წუთზე გახსნა გუცაევმა, მან მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, მიიღო მ. მაჩაიძის ზუსტი გადაცემა და ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში _ 1:0.

73-ე წუთზე ჩელებაძესთან ბრძოლისას კარდიფელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრი სწორად მოიქცა, როცა დამნაშავის სასარგებლოდ არ გააჩერა თამაში. ჩელებაძემ კარგად მიაწოდა კარის წინ, სადაც ოსტატურად ითამაშა ყიფიანმა _ 2:0.

მესამე გოლმა საბოლოო დაადგინა თასების მფლობელთა თასის მერვედფინალის მონაწილე: 85-ე წუთზე პეტარდმა თავისი კარის წინ უხეშად წააქცია გარღვევაზე გასული წერეტელი და მსაჯმა პენალტი დანიშნა. კანთელაძის დარტმის წინაშე მეკარე ირვინი უძლური იყო - 3:0. თბილისელებმა წარმატებით დაძლიეს ტურნირის პირველი ეტაპი.

ა. ზაზროევი

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ამ მატჩში დანიშნული იყო სპეციალური პრიზები. პირველი გოლის გატანისთვის ჯილდო გადაეცა ვ. გუცაევს, საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ მიიჩნია თბილისელი მ. მაჩაიძე და კარდიფელი დ. ლივერმური.

მატჩის დამთავრების შემდეგ მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც თბილისის "დყნამოს" უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა პასუხი გასცა ბრიტანელ კორესპონდენტთა მრავალრიცხოვან სეკითხვებს.

"სანის", "უელს დეკოს", "დეილი მირორის" კორესპონდენტებმა დ. ბუშარმა, პ.უოდვორტმა და ტ. ლაიონსმა მიულოცეს თბილისის "დინამოს" დამსახურებული წარმატება, აღნიშნეს, რომ კარდიფელი ფეხბურთელები თბილისში უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე შინ. მაგრამ ვერაფერი გააწყეს "დინამოსთან". მათი აზრით, თბილისის დინამოელებს უმაღლესი კლასის ტექნიკა აქვთ, საუკეთესოთა შორის გამოყვეს გუცაევი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, ებრალიძე.

კორესპონდენტებმა თბილისის "დინამო" სიძლიერით მიაკუთვნეს ინგლისის I ლიგის წამყვან ათეულს და აღნიშნეს, რომ ტექნიკით, ტემპით, კომბინაციური თამშით, შეტევისადმი სწრაფვით იგი ძალზე წააგავს ინგლისის ცნობილ "ვესტ-ჰემს".

სურათებზე: ამ რთულ ვითარებაში რ. ჩელებაძემ მაინც შეძლო კარში დარტყმა; დ. ყიფიანმა ყველას დაასწრო შექნილ სიტუაციაში, ისე, რომ უელსელმა ფეხბურთელებმა ვერც მოასწრეს მისთვის ხელის შეშლა; თამაშის დაწყების წინ "კარდიფ სიტის" და თბილისის "დინამოს" კაპიტნები დ. ლივერმური და მ. მაჩაიძე ტრადიციული მისალმების ცერემონიალის დროს, სხვათა შორის, ორივე ეს ფეხბურთელი იქნა აღიარებული ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად.

"ლელო", 2.10.76.